ხუთშაბათი, 11 ნოემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ხუთშაბათი, 11 ნოემბერი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ.	— კ.
11	,, . .	9 ,,	50 ,,
10	,, . .	8 ,,	75 ,,
9	,, . .	8 ,,	— ,,
8	,, . .	7 ,,	25 ,,
7	,, . .	6 ,,	50 ,,
6	,, . .	6 ,,	— ,,
5	,, . .	5 ,,	50 ,,
4	,, . .	4 ,,	75 ,,
3	,, . .	3 ,,	50 ,,
2	,, . .	2 ,,	75 ,,
1	,, . .	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 258 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 258

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

გაზეთი
„ივერია“
1-ლ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მან. 75 კაპ. სოფლის მასწავლებელთა და ხელოსანთათვის,—1 მან. 50 კაპ.

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი
სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.
კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.
(30—28).

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
ხუთშაბათს, 4 ნოემბერს,
გაიმართება მეორე იაფ-ფასიანი წარმოდგენა
წარმოდგენილი იქნება
დუბროვსკი
ოპერა 4 მოქმედ. მუსიკა ნაპრავნიკისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტომკეევიჩი, ნიკიტსკაია, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი სიკაჩინსკი, ობრაზცოვი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, სპერანსკი, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ. ბალეტს განაგებს ჟიოვასსი. პრიმა-ბალერინა ლენჩევსკაია.
უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.
კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.
ფასები ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზედ.

პარასკევს, 12 ნოემბერს,
წარმოდგენილი იქნება
I
M-lle ფიფი
ოპერა 1 მოქმედ., მუსიკა ც. კიუისა.
II
პაიაცები
ოპერა 2 მოქმ., მუსიკა ლეონკოვალლოსი.

შაბათს, 10 ნოემბერს,
ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
ფენელლა
ოპერა 5 მოქმედ., მუსიკა ობერისა.
მზადდება წარმოსადგენად პირველად «ალეკო», მუსიკა რახმანინოვისა და «მანდარინის შვილი», ც. კიუისა.
ბილეთები იყიდება.
გამგე ი. კელლერი.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

ბძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვის, № 5

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

ბაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—დორის-მელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აფეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ნ. ა. თარხანოვი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოღაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** $1\frac{1}{2}$—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

მ. ა. თარხანოვი. $7\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ძ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

ტფილისის სათავად-აზნაურო საკრებულო

შეუდგა ტფილისის გუბერნიის თავადთა და აზნაურთა გვარების საშთამომავლო წიგნების შედგენას. ამ ჟამად უკვე შედგენილია ქვემოდ ჩამოთვლილ გვარების შტონი: თავადთა აბაშიძეთა, აბხაზთა, აბამელიქოვთა, ავალოვთა, ამატუნოვთა, ამილახორთა, არღუთინსკი-დოლგორუკოვთა, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონთა, ბაგრატიონ-დავითიშვილთა, ბარათაშვილთა, ბებუთოვთა, ბეგთაბეგოვთა, ვახვახოვთა, ვეზიროვთა, გურამოვთა, ჯანდიერთა, ჯორჯაძეთა, ლიონიძეთა, მაღალოვთა, მელიქიშვილთა და მაჩაბელთა.

იმ პირთ, რომელნიც ეკუთვნიან ამ გვარებს და რომელთაც სურთ შეამოწმონ სინამდვილე და სისრულე საგვარეულო სიაში მოთავსებულ ცნობათა, სთხოვენ მიჰმართონ დეპუტატთა საკრებულოს (სოლოლაკის ქუჩა, № 10) შაბათობით 11—12 საათამდე.—

ამასთან ერთად საკრებულოს აზრად აქვს შეადგინოს, მცოდნე პირთა დახმარებით, ისტორია თავად-აზნაურთა გვარებისა.

ამის გამო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი სთხოვს იმ პირთ, ვისაც მოეპოვება გუჯრები, სიგელები, წყალობის ქაღალდები და ძველი წერილები, მოგონებანი და სხვ. გადასცენ დეპუტატთა საკრებულოს, რომელიც თავის დროზე უკანვე დაუბრუნებს პატრონთ უკლებლივ.

დოკუმენტების წარმომადგენელთ მიეცემათ საკრებულოს მდივნის მიერ კვიტანცია-დოკუმენტების მიღებისა; თვითონ დოკუმენტები-კი დაცული იქნება განსაკუთრებულ, ცეცხლის მხრივ უვნებელ ყუთში. (5—4)

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

დიდ ოკეანეს მეორე ესკადრა რუსეთისა. მთელი ქვეყანა გაშტერებული შეჰყურებს უმაგალითო ამბავს თითქმის 40 სამხედრო გემის გამგზავრებისას უშველებელ მანძილზედ მძიმე გარემოებაში, რომელიც თავს დაატყდა ამ ესკადრას პირველისავე ფეხის გადადგმაზედ. იგი უნდა ებრძოლოს არა მარტო სიძნელეს ამოდენა მანძილისას, სადაც ღელვა და ქარიშხალი უმზადებს მრავალ ზიანს, სადაც ასე გასაჭირია ნახშირის შოვნა და სხვანი, არამედ იმ უხერხულობას, რომელსაც წარმოადგენს აუცდენელი სიახლოვე ინგლისის გემებისა, რომელნიც შორი-ახლო მისდევენ ორთავე რაზმს ამ ესკადრისას. უხერხულობა ამ გარემოებისა იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის გემები მოვალენი არიან დღეში ოთხჯერ უმავთულო ტელეგრაფით შეატყობინონ ინგლისის ადმირალებს თავიანთი თავგადასავალი. მაშასადამე, ინგლისს მუდამ ჟამს ეცოდინება, რა ადგილას არის ესკადრა ამა და ამ დროს. აშკარაა, რაკი ინგლისს ეცოდინება გემების ადგილი, არც მისი მოკავშირე იაპონია იქნება ამის უცოდინარი. გერმანიის გაზეთები ჰშიშობენ, რომ იაპონია ეცდება ცალკ-ცალკე დაამარცხოს ორივე რაზმი რუსეთის ესკადრისა, ვიდრე იგინი შეერთდებიან კუნძულ მადაგასკართან. ვითომც განზრახვა ჰქონდეთ იაპონელებს დაუხვდნენ ჯერ სუეცისკენ მიმავალ რაზმს. მტრის ნაღმოსნები ჩასაფრდებიან იმ ადგილს, სადაც სუეცის არხი ერთვის მეწამულ ზღვას. რაკი არხი ვიწროა, რუსის გემებმა თითო-თითოდ უნდა გაიარონ იგი და თანაც კარგა დაშორებულნი იქნებიან დანარჩენებზედ. გავა თუ არა ერთი გემი, ვითომც მაშინათვე მტერი უფეთქებს ნაღმსა და ასე სათითაოთ დააზიანებსო. მერე მიუბრუნდება მეორე რაზმს აფრიკის აღმოსავლეთ ნაპირებზე და იქაც ამ გვარათ იმოქმედებსო. რამდენათ სამართლიანია ეს შიში, ახლო მომავალი გვიჩვენებს. საფრანგეთის სამხედრო მიმომხილველთ კი არა სჯერათ ასეთი განზრახვა. ისინი ჰფიქრობენ, რომ იაპონია დაიცდის, ვიდრე ესკადრა დიდ ოკეანეში გავა, მანამდე იგი საკმარისად დასუსტდება მუშაობითა და ზღვის ტალღებთან ბრძოლით, მეზღვაურნიც დაღლილნი იქნებიან და სწორეთ მაშინ მიესევიან იაპონელნიო.

ასეა თუ ისე, მაინც საკმაოდ ძლიერი ესკადრა მიეშურება რუსეთიდან შორს აღმოსავლეთში, რომ შველა აღმოუჩინოს პორტ-არტურს, რომელმაც შეიწირა მთელის ათის წლის შრომა დიდის სახელმწიფოსი, მოიხმარა რამდენიმე ასი მილიონი შეძლება ქვეყნისა და რამდენისამე ათი-ათასის ადამიანის გმირული სისხლი. რუსეთს დიდი იმედი აქვს, რომ პორტ-არტური უდგნობს მტერს, მანამ ესკადრა ჩავა დიდს ოკეანეში. თუ იქამდე გადარჩება პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკის ესკადრა, თუ თვითონაც მაგდენად არ დაზიანდება და თუ ამავე დროს მოახერხებს, რომ შეუერთდეს იქ მყოფ ესკადრებს, მაშინ, უეჭველია, ისეთი ძალა ექმნება, რომ შეასუსტოს იაპონიის ბატონობა ზღვაზედ. ხოლო თუ ეს ბატონობა შესუსტდა, მაშინ იაპონიას გაუძნელდება საქმე ხმელეთის ბრძოლაში, რადგან გასაჭირი შეიქმნება მიაწოდოს თავის ჯარებს სურსათი, სამხედრო იარაღი და მაშველი ჯარები. თუ ეხლა იაპონია ბატონობს ზღვაზედ და მანჯურიაში თავისუფლად გაჰყავს რკინის გზები დალნიდან ლიაოიანამდე, სადაც უკვე ორი ლიანდაგი მუშაობს და დღეში ოცდა ათ «პოეზდს» ატარებს, ამთავრებს სეულ-ფუზანის გზას კორეიაში და ჩქარა იალუმდე მიიყვანს, მაშინ სრულებით გამოიცვლება სურათი, როდესაც რუსეთის შეერთებული ესკადრები შეებრძოლებიან ამ ბატონობას. (რ. ვ.).

—

მძიმე სანახაობა. როგორც დეპეშებიდან ვიცით, ამას წინათ ჩიფუში მივიდა რუსის ნაღმოსანი «რასტოროპნი» და ცოტა ხნის შემდეგ აფეთქებულ იქმნა. იგი ააფეთქეს რუსის მეზღვაურებმა, რათა იაპონელებს არ ჩაჰვარდნოდათ ხელში, როგორც ნაღმოსანი «რეშიტელნი» ეხლა გაზეთ „რუსსკაია ვედომოსტ»-ს ატყობინებენ, რომ ამ «რასტოროპნი»-ს დაღუპვამ ძრიელ ააღელვა ჩიფუში მცხოვრები ევროპიელებიო. წყალზე მოსჩანს დაღუპულ ნაღმოსნის ზარბაზნის ტუჩი. იალქნები და «ტრუბები» ისე გადახარიხებულან, თითქო ჯვარი აღუმართავს ვისმე ზღვის პირზედაო და თითქო საფლავის ქვა დაუდგამთ მიცვალებულისთვისო. ნავებით მიდის ხალხი სანახავათ და ქალები ყვავილის თაიგულებს ესვრიან ამ ჯვარსაო. ამ ნაღმოსანს სამი იაპონელთა ნაღმოსანი მოჰყვა უკან. იაპონელები ძრიელ სწუხან «რასტოროპნის» დაღუპვას: ჩვენ მის დასაჭერად კი არ მოვედით, არამედ გვინდოდა მხოლოდ შეგვეტყო, იარაღი აჰყარეს თუ არაო. მოდი და დაიჯერე ამისთანა ლათაიები! (რ. ვ.).

—

პორტ-არტურის კომენდანტი. ევგ. ნოჟინი იწერება დეპეშით ჩიფუდან: ეს ეს არის ახლა მოვედი პორტ-არტურიდან. ციხე მაგრადა სდგას, თუმცა სამი თვეა, ზარბაზნებს უშენენ განუწყვეტლივ და გამძვინვარებულ იერიშს იერიშზე იგერიებს. პორტ-არტურის დაცვა განსაკუთრებით კომენდანტის გენ. სმირნოვის ხელშია. ის არის სული და გული ციხის დაცვისა. თუ ექვსის დღის განმავლობაში მისეულ იერიშს გადაურჩა ციხე, ეგ სმირნოვის საქმეა. ისე გამოიყენა არტილერია, რომ მოიერიშეთ ვერა მოახერხეს-რა (გაზ. «ნოვ».).

—

ორ-მაგი რკინის-გზა ლიაოიანსა დ დალნის შორის. ბერლინიდან სწერენ «ბირჟ. ვედ».-ს, რომ დალნისა და ლიაოიანს შორის გამართულია ორ ლიანდაგიანი რკინის გზა. მუდამ დღე 30 მატარებელი დადის ამ ორ ქალაქ შორისო.

—

წვრილი ამბები. ჩინელები გადაწყვეტით უარს-ჰყოფენ კუროკის სიკვდილს.

—

4 ნოემბერს ელოდნენ, რომ ხვალ დაიწყებს გრიალს ზარბაზნებიო.

—

საწვავ შეშისა და სურსათის ნაკლებობა ძრიელ აწუხებს ყველას. (ნ. ვ.).

—

ჩიფუდან მოდის ხმა, რომ ვითომ გენ. სტესელი დაჭრილია, თუმცა არა საშიშრადაო. ხმაა კიდევ, ვითომ რვა იაპონელი შევიდა პორტ-არტურში გენ. სტესელის მოსაკლავად, მაგრამ შეიპყრეს და ყველაფერში გამოტყდნენო.

—

დუგლას სტრეის წიგნმა მრავალგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მეტადრე იმ ადგილმა, საცა ავტორი ამტკიცებს, რომ რუსნი აქამდე მსუბუქად ეკიდებოდნენ ომის საქმეს, ახლა კი გადასწყვიტეს მიესივნენ იაპონელებსა და კიდეც დაამარცხებენო. (ნ. ვ.).

ახალი ამბავი

—

აკაკის ავადმყოფობა. ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი ამ ჟამად გაცილებით უკეთ არის. ის ხმა, ვითომ არავის უშვებდნენ სანახავად, ტყუილია.

⁂ **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამო.** როგორც არა ერთხელ ყოფილა გამოცხადებული, ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების წესდება მთავრობამ დაამტკიცა; მაგრამ რა დაემართა ამ წესდებას ან როდის ეღირსება იგი წესდების ხელის მომწერთ, იმისი ჩვენ არაფერი ვიცით ამიტომ საქმის გულ-შემატკივარ ხელის მომწერთ ჰმართებსთ ეხლავე თავი გამოიდონ და ყოველი ღონისძიება იხმარონ, რომ ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულება დაბადებამდე არ ჩაკვდეს.

⁂ **ქართული წარმოდგენა «კლუბსა» და ვეტცელის თეატრში.** ქართულის დრამის ამხანაგობას დაუდგენია, სახაზინო თეატრის გარდა წარმოდგენები ჰმართოს აგრეთვე ტფილისის საკრებულოში (კლუბი) პარასკეობით და ვეტცელის თეატრში კვირაობით—დაკლებულის ფასებით.

⁂ **ქართველ მსახიობთა ბენეფისები.** ამავე ამხანაგობას უკვე გაუნაწილებია დღეები მსახიობთა ბენეფისებისათვის. პირველი ბენეფისი დანიშნულია ამ თვის 24-ში და ერგო ბ-ნ ვასილ აბაშიძეს, რომელიც თურმე, ახალს პიესას ამზადებს.

⁂ **ქართულ დრამატიულ დასის** ახალგაზდა მსახიობს ბ-ნს ალ. იმედაშვილს კენჭი ერგო და ჯარში გაიწვიეს.

⁂ **ხოლერასთან საბრძოლველად.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ქალაქის საბჭოს მიერ გადადებულ თანხიდან 1,000 მანეთი მოჰხმარდეს სამოვრებისა და საქალაქო სასწავლებლებისათვის სახელდახელო პატარა აფთიაქების შეძენას.

⁂ **ახალი დანიშნულება.** მოვიდა ბრძანება, ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის მესამე ნაწილის მომრიგებელი შუაკაცი, კოლეჟსკი სოვეტნიკი ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე დაინიშნა ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს მრჩევლად (СОВѢТНИКЪ).

⁂ **ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი** კ. მ. ლინდენი უკვე დაბრუნდა ტფილისს პეტერბურგიდან, სადაც ის სამსახურის საქმეთა გამო იყო.

⁂ **ბავშვთა საავადმყოფო ზუბალაშვილის სახელობისა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ უკვე წარუდგინა ტფ. გუბერნატორს დასამტკიცებლად სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის სახსოვრად განსვენებულის ძმების მიერ შეწირულ ფულით ბავშვთა საავადმყოფოს აგების თაობაზედ ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება.

⁂ **«ნოვ. ობოზრ.»-ს ახალი პროგრამა.** როგორც «კავკაზი» იუწყება, გაზეთი «ნოვოე ობოზრენიე» საკუთრებად შეუძენია ნაფიც ვექილს კოლეჟსკი სეკრეტარს ქალანთარ ივანეს ძეს ქალანთაროვს.

ბეჭდვით საქმეთა მთავარ-სამმართველოს უკვე დაუმტკიცებია ბ-ნი ქალანთაროვი რედაქტორ-გამომცემლად. ამას გარდა, ქალანთაროვს ბეჭდვით საქმის მთავარ-სამმართველოსათვის წარუდგენია თავისი პროგრამა, რომლითაც უნდა განაგრძოს გაზეთის გამოცემა. მთავარ-სამმართველოს ეს პროგრამა დაუმტკიცებია. ასე რომ, ქალანთაროვის ხელში გაზ. «ნოვ. ობოზრ.»-ე ამ ახლად დამტკიცებულის პროგრამით გამოვა.

⁂ **დაჭრა.** 9 ნოემბერს, ნაშუაღამევის 3 საათზე, პოლიციის მე-6 ნაწილში, სომხების წმ. გიორგის ეკკლესიის ეზოში, ერთმა ღამის მთეველთაგანმა დანით მძიმედ დასჭრა მუცელში სომხთა სასულიერო სემინარიის მე-5 კლასის მოწაფე ოჰანეზ არუთინოვი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს; ექიმების შემოწმებით, მისი მორჩენა საეჭვოა. დამნაშავე შეიპყრეს.

⁂ **კავკასიის რკინის გზათა უფროსი** ინჟენერი ი. კ. ივანოვსკი ბათუმს წავიდა სამსახურის საქმეთა გამო.

საქართველო

სამეგრელოს ავ-კარგი. ეს-ეს არის გათავდა სამეგრელოში ყოველ-გვარის მიწის მოსავლის მოკრეფა მინდვრებიდან. ეხლა-კი თამამად შეგვიძლიან სრული ანგარიში გავუწიოთ წლევანდელის წლის მოსავლის სიავკარგეს. საზოგადოდ წელს ქირნახული ერთსა და იმავე დროზედ არ დათესილა, რადგანაც გაზაფხულზედ აქეთ ხშირი გვალვები იყო. ამიტომ ადგილ-ადგილ ნაგვიანევად დაითესა ყანები. სწორედ იმ დროს, როდესაც ქირნახული გამარგვლას თხოულობდა, ხშირი წვიმები მოდიოდა, რის გამოც, ზოგან ვერ გაიმარგვლა და ბალახათ იქცა სიმინდიანი ყანები. მიუხედავად ამისა, წელს მაინც ადგილ-ადგილ არა უჭირს, გვარიანი მოსავალია. ხოლო ზოგან-კი ნაკლები. ზოგი სარჩოს გარდა გასასყიდსაც ჩამორჩება, ზოგს კი თითონ შეექმნება საყიდი. ვისაც სარჩო მოუვიდა, ჰო, იმას არა უჭირს-რა, მაგრამ ვისაც ბედმა უმტყუნა, იმან რა შავს მიწას ახალოს თავი? რითი უნდა გამოკვებოს თავისი წვრილი ჯალაბობა? ან რითი უნდა გაისტუმროს ყოველი დღიური, შინაური თუ გარეული მოთხოვნილება? რა ჰქნას საბრალომ, როცა მისის ცხოვრების უპირველეს წყაროს მარტო სიმინდი შეადგენს?..

— წლევანდელმა სიმშილობამ ერთობ ძირს დასცა ჩვენი ხალხი. საქმე იქამდი მივიდა, რომ ფუთი სიმინდი მანეთ-ნახევრად იყიდებოდა, მაგრამ შოვნა იმისი აქ ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგანაც ყოველგან გამოილია. ვისაც შავის დღისთვის ერთი ან ორი კაპეიკი ჰქონდა ცხრა კლიტულში შენახული, იმას სიმშილმა დაახარჯვინა. ზოგს თავისი მარჩენელი საქონელი გააყიდვინა და ამითი იხსნა თავისი წვრილ-ცოლშვილი სიმშილისაგან. ხოლო ვინც ყოველსავე ამას მოკლებული იყო, იგი იკვებებოდა ბოსტნეულობით და ხილეულობით, რამაც ხალხის ხიკვდილი გამოიწვია. ამისთანა სიმშილობას და განსაცდელს, დიდი ხანია, როგორც მოხუცებულები ამბობენ არ მოსწრებულან. მომავალ წელშიაც მოსალოდნელია ასეთი სიმშილობა, თუ კი ხალხმა დროისათ რაიმე ღონე არ იღონა...

აბრეშუმის მოსავალიც წელს საერთოდ ნაკლები იყო. ამისი უმთავრესი მიზეზი გახლდათ თესლის უვარგისობა. ზოგიერთი ჩარჩები უმეცარ ხალხში ავრცელებენ ცოტა იაფად ცუდს აბრეშუმის თესლსა. ამაში ჩვენი მეაბრეშუმენი სტყუვდებიან და სწორედ იმ დროს ეხოცებათ აბრეშუმის ჭია, როცა ცახზე ასვლას აპირებს. ამიტომ მრავალს ტყუილ-უბრალოდ დაჰკარგვია თვე-ნახევრის შრომა და ხარჯი. ამისთანა მაგალითები ჩვენის «კულტუროსან» სომეხ-ბერძნების და მათის აგენტების წყალობით სამეგრელოსი ათასობითაა, მაგრამ ვინ ჰყავს უცოდინარს ხალხს მეთაური, რომ ყოველივე ესე ააცდინოს თავიდან... მართალია, ტფილისიდან ბ-ნი იოსებ ქუთათელაძე ჩამოვა სამეგრელოში და უხსნის ხალხს აბრეშუმის მოსვლა-მოშენებას და რიგიანის თესლის შეძენას, რისთვისაც იგი მადლობის ღირსია, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ნათქვამია: «მარტო ხელა კაცი, პურის ჭამაშიაც ბრალია»-ო, აბა რას გაწვდება ერთი კაცი სამეგრელოს მრავალ-რიცხოვან სოფლებსა? სასურველია, სამგრელოში გავრცელდეს კარგის ჯიშის აბრეშუმის თესლია, რათა მეაბრეშუმეები არ სტყუვდებოდნენ ჩარჩების მოქმედებით...

ღვინის მოსავალმაც დიდი ხანია, რაც ყველას თავი დაუკრა. ჯერ-ჯერობით კიდევ ადესის ვაზს უჭირავს აქ პირველი ადგილი. ზოგიერთებმა ამერიკულზე დამყნილ ვაზების მოშენებას მიჰყვეს ხელი, რაც მშვენიერს მოსავალს იძლევა. ღვინოც კარგის ღირსებისა დგება. პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ სამეგრელოს ჰავა მშვენივრად აიტანს, როგორც ამერიკულზედ დამყნილ ვაზებს, აგრეთვე დაუმყნელ იმერულსაც, მხოლოდ საჭიროა ხალხმა ერთგულად მოკიდოს ხელი ამ საქმესაც. საუბედუროდ, ჩვენი ხალხი ისევ ადესის ვაზს ეწყობა, რადგანაც ეს უკანასკნელი იმდენს შრომას არ თხოულობს, რამდენსაც სხვა გვარის ვაზები...

თაფლის მოსავალიც წელს აჰრელებული იყო, როგორც სიმინდისა. აქაიქ კარგად მოვიდა. ფუტკრის მოვლა-მოშენება აქ ისევ ადამის დროინდელია. ძველებურ ბუკებში ჰყავთ ფუტკრები და ხშირად გამრავლების მაგიერ ეხოცებათ...

ნივთიერმა დაქვეითებამ და სივიწროვემ სოფლებში გამოიწვია ათასი ცუდი საქმე. ხშირია ქურდობა, ძარცვა-გლეჯვა, თავდასხმა და კაცის კვლაც. ხშირად გესმის: ამას და ამას ესა და ეს მოჰპარეს, იმას თავისი კოპწია გასათხოვარი ქალიშვილი მოსტაცეს უგზო-უკვლოდ, იგი გზაზედ გაძარცვეს და წაართვეს ყოველივეო და სხვა და სხვა. ერთის სიტყვით, ყოველ დღე ამისთანა არა სასიამოვნო ამბების მოწმე ხარ...

თუმცა-ღა ქორწინების სეზონი დაიწყო ეხლა აქეთ, რადგანაც ხალხი მოცლილია და მილაგ-მოლაგებული აქვს ყოველივე, მაგრამ ქონებრივმა დაქვეითებამ ძალიან შეაფერხა შემოდგომის ქორწინების სეზონი. კანტი-კუნტათ ისმის ქორწილების ამბები...

ტრიფონ კალანდარაშვილი.

ნასწავლ მკურნალთა საყურადღებოდ

ამას წინად მღვ. კანდელაკმა დაბეჭდა «ივერიაში» წერილი, რომ ხალხში დარჩენილი წამლობა ბევრ-გვარ ავადმყოფობას ჰშველისო. დაასახელა კიდეც ის ავადმყოფობა, რომელსაც ნასწავლმა მკურნალებმა წამალი ვერ მოუძებნეს და ხალხურმა მკურნალობამ კი სამუდამოდ მოსპო და გააქრო ის სატკივარი.

აი კიდევ მეორე შემთხვევა. ავად გახდა ბავშვი სოფლად ყბა-ყურით. დაუსივდა კისერი, ჩამოუვიდა ჯირყვლები და სიმსივნემ თითქმის გულამდე უწია. ექიმს სად იშოვით ყრუ სოფელში? აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, იკითხეს, ხომ არავინ რა იცის ამის წამალიო. აღმოჩნდა, რომ ხალხს სცოდნია ამისთანა სიმსივნის წამალი. ეს არის ახალ დაკლულ ციკნის ან კურდღლის ტყავი, რომელიც უებარია თურმე და მაშინვე უცხრობს სიმსივნეს.

ნასწავლმა მკურნალებმა უნდა გაარკვიონ, რა წამალია ეს წამალი.

სოფელ ძველ გავაზში, კახეთისკენ, ერთს დედაკაცს დიდი სისხლის დენა ჰქონდა ცხვირის ორივე ნესტოებიდან. ვერაფრით ვერ შესწყვიტეს სისხლი. სცადეს ის წამალი, რომელიც აღნიშნულია ივ. როსტომაშვილის დაბეჭდილ „საუნჯე ავადმყოფთათვის»-ში, მაგრამ ვერა უშველეს-რა. სახალხო მკურნალობამ აქაც უშველა ამ ავადმყოფობას. ავადმყოფს ურჩიეს, კვეი გადაეკრა ცხვირზედ. შეასრულა ეს რჩევა და სისხლის ცხვირიდან დენამ გადაუარა.

ამასაც გარკვევა უნდა ნასწავლ მკურნალთაგან.

რაჭა-ლეჩხუმსა და საზოგადოდ იმერეთისკენ ხალხმა იცის წამლობა «საყმაწვილოსი». საყმაწვილო ბავშვის კრუნჩხვაა, რის გამოც ავადმყოფი კვდება.

ამასაც ყურადღების მიქცევა უნდა ქართულ ნასწავლ მკურნალთაგან.

საზოგადოდ, სახალხო მედიცინას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ყველგან, მხოლოდ ჩვენში თითქო არა ვსცნობთ საჭიროდ ამ საგანს გული დავუდოთ.

ჩვენი ხალხი ძველი ხალხია, ძველებურის აზიურის კულტურის პატრონი, ხოლო აზიის ძველ კულტურას ბევრი რამ ისეთი ცოდნა და გამოცდილება ჰქონდა შემუშავებული, რასაც მხოლოდ ახლა მიაგნო ევროპის მეცნიერებამ.

გუშაგი.

ბრძნული აზრები

ალფონს დოდესი.

მედიდურობა გარედ გამოიჭიმება და გამოიბლინძება ხოლმე, სიამაყე კი იმალება, რომ არავის დაენახოს.

❀ განსაცდელი ის სიმთვრალეა, რომელიც ადამიანს აფხიზლებს.

❀ ადამიანები ბერდებიან, მაგრამ სრულიად ვერ მწიფდებიან.

❀ ქვეყნიერობაზე ყველაზე უფრო საშიში დიდი ბედნიერებაა.

ნარევი

დედოფლის ხელთათმანები. ინგლისის დედოფალი (რუსის ქვრივ დედოფლის და) მთელის დღეობით ხელთათმანებს არ იშორებს თურმე და, როცა საქმობს, მაშინაც შესაფერი ხელთათმანები აცვია, რომელსაც მხოლოდ ძილის დროს იცვლის. ხელთათმანები, რომელსაც დედოფალი იცვლის, მეტის-მეტად ძვირადა ჰფასობს თურმე ინგლისის მაღალ საზოგადოებაში, ასე, მაგალითად ერთი ნახმარი ხელთათმანები ამ ხანებში სიძველეთა ვიღაც მოტრფიალეს უყიდნია თორმეტ თუმნად.

—

უცხო სიტყვათა განდევნა. საქსონიის მთავრობას მიუმართავს ყველა სათანადო მთავრობისათვის წინადადებით, რომ ამიერიდგან ნულარ იხმართ ხოლმე უცხო სიტყვებსაო. ამ საქმისათვის შემდგარა განსაკუთრებული კომისია; ამ კომისიას საჭიროდ უცვნია ისეთის სიტყვების განდევნაც კი, რომელნიც დიდი ხანია საერთოდ არის აღიარებული, როგორც, მაგალითად: ინვენტარი, ბიუჯეტი, პროექტი, დეპარტამენტი, პრემია, რევიზია და სხვა.

ხოლერა

შემდეგი *)

როგორ იკაფავს გზას ხოლერის ბაცილლა ადამიანის სხეულში?

ხოლერა უფრო იმას შეჰხვდება ხოლმე, ვისაც კუჭი აქვს დაზიანებული, გაფუჭებული. საღ კუჭში იმყოფება ყოველთვის, — როდესაც კუჭი საჭმელს ხარშავს, ინელებს, — ერთგვარი წვენი, სიმჟავე. ამ სიმჟავეს რომელსაც ეძახიან მარილის სიმჟავეს დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი ხელს უწყობს საჭმლის გადახარშვას, მონელებას. ამას გარდა, მარილის სიმჟავე ჰხოცავს კუჭში მრავალ ბაქტერიებს, რომელნიც კი საჭმელთან ერთად კუჭში ჩადიან.

მარილის სიმჟავე, როგორც საზოგადოდ სხვა მასალები კუჭის წვენისა, მხოლოდ მაშინ გამოედინება ხოლმე კუჭის კედლებს, როცა კუჭში საჭმელი ჩადის. კუჭის საჭმელს ხარშავს, ინელებს. დანარჩენ დროს, როდესაც კუჭი მოსვენებულია, საღ კუჭში მარილის სიმჟავეს (соляная кислота, acidum muriaticum) არ არის, როგორც არ არის საზოგადოდ მოსანელებელი წვენი.

ზოგიერთ ავადმყოფს ჭამის დროსაც არა აქვს კუჭში მარილის სიმჟავე.

ეს სიმჟავე, სხვათა შორის, ხოლერის ბაცილლასაც ჰკლავს.

ამიტომ, საღი კუჭის მექონე ადამიანმა კიდევაც რომ ჩაჰყლაპოს ხოლერის ბაცილებიანი წყალი ან საჭმელი საუზმის ან სადილის დროს, როდესაც კუჭი მუშაობს, როდესაც კუჭში, მაშასადამე, თავისუფალი მარილის სიმჟავეა, მას ხოლერა არ შეჰხვდება, რადგანაც მარილის სიმჟავე მისის კუჭისა დაჰხოცავს ხოლერის ბაცილლებს.

ავადმყოფის კუჭის პატრონი, რომელსაც ჭამის დროს მარილის სიმჟავე არ მოეპოვება კუჭში, ადვილად შეიძლება შეიქმნეს ხოლერის ბაცილლების მსხვერპლად, რადგან ამ ბაცილლებს მისის კუჭის წვენი, მარილის სიმჟავის უქონლობის გამო, ვერ მოჰკლავს.

უზმოზე წყლის დალევა მარილის სიჟავეს არ აჩენს კუჭში. ამიტომ, ვინც დილას მარტო წყალს ან ჩაის დალევს, მას შეიძლება შეჰხვდეს ხოლერა, თუ

---

*) იხ. «ივერია», № 253.

ფელეტონი

ლექსები

არა, არ მჯერა.

(ჩვენის საყვარელ მგოსნის აკაკის ავადმყოფობის გამო).

ავად გამხდარა მგოსანი, —
დიდება ჩვენის ერისა, —
მესაიდუმლე, დარაჯი
სამშობლოს გულის ძგერისა!
არა, არ მჯერა!.. სამშობლოს
ისეც ბევრი აქვს იარა!..
ჯერ ისეც ბედის გამსხნელმა
ახლოც არ ჩამოგვიარა!..
არა, ადსდგება, სენისგან
განიკურნება სრულადა,
ჩონგურს ხელს ჰკიდებს, დასძახებს
იმედით, გაბედულადა:
„არა, აღყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა,
გმირებს დაეძებს, უყივის,
ჩემი დაფი და ნაღარა“!
იპოვის კიდეც!..—მივუგებთ, —
და იხსნის სატრფოს გულისას,
პასუხს მიაგებს დამგმობელს
ჩვენის ენის და რჯულისას!
არა, ვერ დასძლევს მას სენი,
ეძლევა განკურნებასა,
უნდა დაესწროს სამშობლოს
დიდებას, — გამარჯვებასა!..

ალექსი სანდროშვილი.

უალლაჰოდ.

აღმოსავლეთური ლეგენდა დოროშევიჩისა.

ერთხელ ალაჰს მოჰბეზრდა ალაჰობა, მიატოვა ზეცა, ჩამოვიდა დედამიწაზედ და უბრალო მომაკვდავად გარდაიქცა. ბანაობდა მდინარეში, თივაზედ იძინებდა და ხილეულობით თავს ირჩენდა.

ყოველ დღე მზე ამოდიოდა და ჩადიოდა, ღრუბლიან დღეებში კიდევ წვიმა მოდიოდა, ფრინველები გალობდნენ, თევზები წყალში დასცურავდნენ.

ასე ერთ ფეროვნად მიმდინარეობდა ცხოვრება.

ალაჰი ღიმილით უცქეროდა ყველა ამას და ჰფიქრობდა:

— ქვეყნიერება ბორბალია, ერთი კი შეანძრიე და მერე თავის თავად წავა. და მოისურვა ალაჰმა გაგება:

— თუ როგორა სცხოვრობენ უიმისოდ ხალხნი? ფრინველები უგუნურნი არიან, თევზებიც ეგრეთვე, მაგრამ ვნახოთ, როგორა სცხოვრობენ ეს გონიერნი ხალხნი? უკეთესად თუ უარესად?

გაიფიქრა თუ არა ეს ალლაჰმა, მიატოვა მთა-ბარი და ბაღდადისაკენ გაემგზავრა. — ვინ იცის, ქალაქი თავისს ადგილას არის კიდევ თუ არა? გაიფიქრა. ქალაქი თავის ადგილას იყო. ვირები ყროყინებდნენ, აქლემები ღრიალებდნენ, ხალხი მუშაობდა.

ყველაფერი ისევე მიმდინარეობდა, ნირიც არავის შეეცვალა.

— ჩემი სახელი კი, მე მგონი, აღარავის უნდა ახსოვდეს, — სთქვა ალლაჰმა. მოინდომა თუ არა ამის გაგება, ბაზრისაკენ გაემართა, ბაზარზედ ახალგაზდა კაცი ცხენს ჰყიდულობდა ვაჭრისაგან.

— ალაჰს გეფიცები, — ეუბნებოდა ვაჭარი, — ცხენი სულ ახალგაზდაა! სამი წელიწადია მხოლოდ, რაც დედას მოაშორეს. რა მშვენიერია! ამაზედ შეჯდომა ერთ რამედა ჰღირს! არც ზადი აქვს რამე ერთი ბეწვაც კი!

ახალგაზდა კაცმა შეჰხედა ვაჭარს და უთხრა:

— მართალს კი ამბობ?

ვაჭარმა ხელი-ხელს შემოჰკრა, თავზედ ხელი იტაცა და შეჰყვირა:

— რა ნაირი უგუნური ხარ! შენისთანა უგუნური ჩემს გაჩენაში არ მინახავს! ნუ თუ არ გჯერება — ალაჰს გეფიცები, სული წასაწყმედი ხომ არა მაქვს?

ახალგაზდამ ფულები ჩაუჩხრიალა ვაჭარს და ცხენი წაიყვანა.

გაათავა თუ არა ვაჭარმა საქმე, ალაჰი მიუახლოვდა და უთხრა:

— შენ, კეთილო ადამიანო, ალაჰს რომ ჰფიცულობ, ალაჰი ხომ აღარ არის ქვეყნიერებაზედ!

ვაჭარი ამ დროს ქისაში ფულს იდებდა, ალაჰის სიტყვებზედ გაეცინა და უთხრა:

— გინდა ეგრეც იყვეს? გგონია, იმდენი რომ არ მეფიცნა, ცხენს გავყიდდი? ცხენი ბებერია და ჩლიქიც მომტვრეული აქვს!

ალაჰმა გაიცინა და გზა განაგრძო.

გზაზედ შემოჰხვდა მუშა ჰუსეინა. ისეთი უშველებელი ტომარა წამოეკიდნა, რომ სამჯერ იმაზედ დიდი იყოს. ჰუსეინას უკან ვაჭარი იბრაჰიმა მისდევდა.

ჰუსეინს ტვირთის სიმძიმისაგან მუხლთ ეკეცებოდა, ოფლი ნიაღვარივით სდიოდა, თვალები გასწითლებოდა.

იბრაჰიმი უკან მისდევდა და უყვიროდა.

— ალაჰის შიში არა გაქვს, შენ ჰუსეინა! გამირიგდი ტომრების გადაზიდვას და ზანტად კი იქცევი! აგრე რომ იზარმაცო, დღეში სამ ტომარასაც ვერ გადაიტან. არ ივარგებს ენგრე ქცევა! სულს მაინც ნუ წაიწყმედ! ხომ იცი, ალაჰი ყველაფერს ჰხედავს! დაგსჯის ჰუსეინ.

ალაჰმა ხელი მოჰკიდა იბრაჰიმს, ცოტა დაშორდა ჰუსეინას და უთხრა:

— რა წამ-და-უწამ ალახის ხსენებაში ხარ! ხომ იცი, ალაჰი აღარ არის!

იბრაჰიმმა საქოჩრე მოიფხანა.

— მეც ვიცი! მაგრამ რას იზამ? სხვანაირად როგორ დავაჩქარო ჰუსეინა? ტომრები მძიმეა. ფულის მომატება არ შემიძლიან — საზარალოა. ვცემო, არ შემიძლია — მეშინიან, ჰუსეინა ჩემზედ უფრო მეტად ღონიერია და ვაი თუ ხელი შემომიბრუნოს, ვალისთან წავიყვანო და, რა გამოვა, გზაზედვე გამექცევა. ალაჰი კი ყველაზედ ძლიერია, მას ვერსაით ვერ გაექცევი და აი სწორედ ამისთვის ვაშინებ ალაჰით!

ალაჰმა თავი გაიქნია და გზას გაუდგა.

ყველგან, სადაც კი ალაჰი მივიდოდა, მარტო და თავისი სახელი ესმოდა:

— ალაჰ! ალაჰ! ალაჰ!

საღამოს ჟამი უკვე მოახლოვდა, მზემ ჩაიწვერა და ცა ალის ფრად შეიღება, — მეჩეთიდან მოლამ ხალხს სალოცავად ძახილი დაუწყო:

— ლია ილლ, აგო ელ ალლაჰ!..

ხალხი მეჩეთთან შეჩერდა, სალამი მისცა მოლას და უთხრა: — რიღას გულისთვის ეძახი ხალხს მეჩეთში? ალაჰი ხომ აღარ არის!

მოლა შიშით ზეზე წამოვარდა და შეუძახა:

— შენ ეი! რა გაყვირებს, ხალხმა რომ გაიგონოს შენი სიტყვები, მერე რაღა პატივი უნდა მქონდეს! ვინღა მოვა ჩვენთან მეჩეთში სალოცავად!

ალაჰმა წარბები შეიჭმუხვნა და ცეცხლის ბოძსავით აემართა ზეცისკენ, მულა კი გრძნობა დაკარგული დიდხანს ეგდო მიწაზედ გართხმული.

ალაჰი დაბრუნდა თავისს სამფლობელოში და თავისს ტახტზედ დაჯდა. ამიერიდგან ისევე მოღიმარე აღარ უცქეროდა ქვეყნიერებას, რომელიც მისს ფერხთა ქვეშ გართხმულიყო, როგორც წინედ.

როდესაც პირველის ახლად გარდაცვალებულის მუსულმანის მთთორვალე წარსდგა ალაჰის წინაშე, ალაჰმა მრისხანედ შეჰხედა და ჰკითხა:

— აბა, სთქვი, რა გაგიკეთებია კეთილი შენს სიცოცხლეში!

— სახელი თქვენი, დიდებულო ალაჰო, არ მოსცილებია ბაგეთა ჩემთა! — უთხრა სულმა.

ალაჰმა თავი გაიქნია. — სხვა კიდევ?

— როცა კი საქმეს შევუდგებოდი და საქმეს ხელს მოვკიდებდი, სულ ალაჰის სახელით..

— ეგ კარგი, მაგრამ, — გააწყვეტინა ალაჰმა, — მაინც რა გააკეთე შენს სიცოცხლეში კეთილი?

— მე, დიდებულო ალაჰო, ყოველთვის ვსცდილობდი, რომ სხვასაც არ დავიწყებოდა სახელი თქვენი, ვისაც კი შევხვდებოდი, ყველას ალაჰის სახელს ვაგონებდი.

— ვხედავ, რა ბჟითიცა ყოფილხარ, მაგრამ მითხარ, ალაჰის ხსენებით ბევრი შეიძინე?

სულმა კანკალი დაიწყო.

— ეჰ! — სთქვა ალაჰმა და ზურგი შეაქცია.

ამ დროს მოლას ეშმაკი მიუახლოვდა, სტაცა ხელი და წაათრია.

ასე განრისხდა ალაჰი ხალხზედ.

ზ. ედილი

რამე გვარად ბაცილლებიანი რამ გადაჰყლაპა.

ჭამის დროსაც რომ ვინმემ ბევრი წყალი დალიოს ან ბევრი წვენი დახვრიპოს, თუ ხოლერის ბაცილლებიანი რამ გადაჰყლაპა, ბევრი წვენის ნაწილი მოასწრებს წელებში გადასვლას, ე. ი. ისე სწრაფად გადავა კუჭიდგან წელებში, რომ ამ წვენის ნაწილში მყოფი ბაცილლები ხელიდან გაუსხლტებიან მარილის სიმჟავის მომაკვდინებელ გავლენას და უვნებლად გადარჩებიან, გადავლენ წელებში და გააჩენენ ხოლერას.

როდესაც კაცი ერთბაშად ბევრ ხორცს ჩაიყრის კუჭში, მაშინ მთელი მარილის სიმჟავე კუჭისა საჭმელს მოუნდება, საჭმელს შეუერთდება, თავისუფალი მარილის სიმჟავე აღარ დარჩება კუჭში. თუ ამ დროს კაცმა ხოლერის ბაცილლებიანი რამ გადაყლაპა, ბაცილლებს კუჭში არაფერი მოჰკლავს, უვნებლად გადავლენ წელებში, აქ გამრავლდებიან და გააჩენენ ხოლერას.

თუ კაცმა მეტად ბევრის ჭამით, ლოთობით და სხვ. გაიფუჭა კუჭი, მაშინაც ისპობა კუჭში მარილის სიმჟავის მზადება. ამგვარ კაცს ადვილად შეიძლება შეხვდეს ხოლერა.

ამავე მიზეზის გამო ხოლერა უფრო ადვილად ედება სუსტებს, უძლურებს, სნეულებს, რადგან სნეულებს ჭამის დროს არ უმზადდება კუჭში საკმაო რიცხვი მარილის სიმჟავისა.

ყველამ იცის, რომ მოხუცებული კაცის კუჭი ვერ მოქმედებს ისე კარგად, როგორც ახალგაზრდისა. ყველამ უწყის აგრეთვე, რომ ბავშვს ადვილად უხიანდება კუჭი, ამიტომ ხოლერა ბავშვებს და მოხუცებულებს უფრო ედება, ვიდრე მოწიფულებს და შუახნის კაცებს. ძლიერ საშიშია აგრეთვე ხოლერის გადადების მხრივ გარყვნილება, რომელიც ასუსტებს და ლახავს, როგორც მთელ სხეულს, აგრეთვე კერძოდ კუჭსაც.

ექიმი ვასილ წერეთელი.

სამშობლოს გარე

IV

რატომ ჰხდება?

კიევი, 23 ოქტომბერი.

გუშინდელმა საღამომ მეტად დამაღონა.

ამ დღეებში აქ გავიცანი ჩვენს ქვეყანაში ნამსახური პოლკოვნიკი, პოლონელი, რომელმაც, გაიგო რა ჩემი ვინაობა, ქართულად დამიწყო ლაპარაკი:

— კაცო, ქართველი ხარ?!. საიდან სადაო, რასა იქ, აქ ცხოვრობთ?

— პოლკოვნიკო, თქვენ მშვენივრად გისწავლიათ ქართული?—გაკვირვებით დავეკითხე.

— ვლაპარაკობ, ვკითხულობ კიდეც... თქვენში მე ბევრი კარგი მეგობრები მყავს, მაგრამ ისინი ჩემთან უფრო რუსულად ლაპარაკობდნენ. თქვენებურებს რაღაც მიზეზის გამო რუსულად ლაპარაკი უფრო ეხერხებათ... ცოტათი ღიმილით ჩაილაპარაკა პოლკოვნიკმა.

— ეს კიდევ არაფერი, განაგრძო ახალმა ნაცნობმა პოლონელმა,—უმრავლესობა თქვენებურ ოჯახებისა ბავშვებს დედა ენასაც არ ასწავლის. მე კავკასიიდან ორი თვეა წამოველი, სამსახურს თავი დავანებე და ეხლა ვარშავაში მივდივარ სამუდამოდ. თქვენში ათი წელი ვცხოვრობდი. 6 წელი ქუთაისის გუბერნიაში და ოთხიც ტფილისის გუბერნიაში. თქვენებს კარგად ვიცნობ.

— ჩემთვის სასიამოვნოა თქვენის აზრის გაგება ჩვენს ცხოვრებაზე. გთხოვთ დაუფარავად გამოსთქვათ ყოველივე.

— რა მაქვს დასამალავი!? მერწმუნეთ, თქვენებურების ცუდი ჩემთვის საწყენი იყო... მე თქვენი ხალხი მიყვარს. ახალგაზრდა ინტელიგენციას კი საყვედურით უნდა მივმართო: ვერ მოქმედებენ კარგად. ჰო, იმას გეუბნებოდით, ოჯახებში ქართულად არ ლაპარაკობენ, ბავშვები რუსულად ტიტინებენ, რუსული ლექსები ზეპირად იციან... ქართულად კი ერთი ტაეპიც არ იციან. არ მომწონს, რომ ზოგნი ასეთ გარემოებით ამაყობენ კიდეც...

პოლონელი პოლკოვნიკი ლაპარაკობდა გულ-წრფელად, აღელვებული. მე—დარცხვენილი, ხმა-გაკმენდილი ვისმენდი სიმართლით სავსე მსჯავრს.

— ეს ძლიერ ცუდია, ჩემო ქართველო, ცუდი... მიკვირს, რატომ ჰხდება ეს თქვენში?... ამ მხრივ გვირიათ ბრძოლო ახალგაზრდობას. თუ დედა-ენა არ იცის ბავშვმა კარგად, ჩემის აზრით, ეს ცოდვაა, რადგან გონება ადვილად არ განვითარდება.

— მე დარწმუნებული ვარ, ასეთს სენს მალე მოვიშორებთ თავიდან,—შევნიშნე პოლკოვნიკს.

— ღმერთმა ჰქმნას... არა, გასაკვირი ის არის, რომ ქართველებს აქაც გავიწყდებათ ქართული. იმ კვირაში ერთ ნაცნობთან შემხვდა ქართველი ექიმი; ამბობენ, დიდი პრაქტიკა აქვსო. წარმოიდგინეთ, მე უფრო კარგად ვლაპარაკობ ქართულს. «ქართული ლაპარაკი არ მეხერხება, გადამავიწყდაო»... როგორ მოსპობთ სენს—თუ სახლშიაც და გარედაც აგრე მოიქეცით!?... რატომ ჰხდება ეს—არ მესმის?!...

ამ დროს მასპინძელმა ვახშმად მიგვიპატიჟა.

ჩემთვის მეტად საინტერესო ბაასი შესწყდა.

ვახშმის შემდეგ პოლკოვნიკმა თავის ადრესი მითხრა და გულწრფელად მთხოვა მივსულიყავ სტუმრად.

გუშინ საღამოს დიდის სიამოვნებით გავსწიე.

ჩემს ახალს სიმპატიურ ნაცნობს თან ჰყავდა ცოლი და ორი მცირე წლოვანი ქალი. შევედი თუ არა ოთახში—მომესმა წმინდა პოლონური ლიტერატურული ენა.

— მე მეგონა არ მნახავდით, მხიარულად წარმოსთქვა მასპინძელმა და ცოლს გამოელაპარაკა პოლონურად: ეს ის ახალგაზრდაა, რომელიც დომანსკისას გავიცანი. ცუდს არაფერს ვამბობ, ნუ გამიჯავრდებითო.

— ბატონო,მე მესმის პოლონური, შეგიძლიათ ყველამ პოლონურად ილაპარაკოდ, მორიდებით წაველაპარაკე.

— მართლა?!. მაშ დღეს პოლონურად ვილაპარაკოთ.

— ბატონი ბრძანდებით...

— ქართული არ დაგვიწყებიათ? იქნება არ გეხერხებათ ლაპარაკი?— ხარხარით დამეკითხა.

— ვისაც სურს, ენა ყოველთვის შერჩება.

— მართალია... რაც გიყვარს ადამიანს, ის არას დროს არ დაგავიწყდება. ენა ბავშვობიდან უნდა შეაყვარო ადამიანს, მასთან ერთად ახლობელის, დაჩაგრულის მოძმეთა სიყვარულიც... ბავშვს საკუთარ დედა-ენის წყალობით უფრო მალე შეაჩვევ ყოველსავე კარგსა... თქვენ პოლონელთა ოჯახებს იცნობთ უთუოდ?

— ბევრს ვიცნობ!

— როგორ მოგწონთ იმათი ცხოვრება? ჩვენ ბავშვს ვზრდით ისე, რომ მომავალში ქვეყანას, მოძმეს, დაჩაგრულთ გამოადგეს... თქვენ გინახავთ ისეთი პოლონელი ოჯახი, სადაც დედა-ენა არ სცოდნოდეთ კარგად დიდსაც და პატარასაც?

— არ მინახავს და არც ვძებნი: ვიცი, ვერ ვნახავ.

— ვერ ნახავთ... სიამოვნებით ჩაიცინა პოლკოვნიკმა. შორს არ წავალ, აი—მაგალითად—ჩემი პატარა ქალები, ჩემი ოჯახი. კავკასიაში ვიყავი, ჩვენს ქვეყანას დაშორებული, მაგრამ დედა-ენა არ დაგვიწყებია... აბა, იადვიგა, წაგვიკითხე რომელიმე ლექსი, რომელიც უფრო მოგწონს...

წინ წამოდგა ცამეტის წლის ლამაზი ქალი და დარცხვენილად უპასუხა მამას:

— მერმე წავიკითხავ.

— არა, იადვიგა... აი, ეს ქართველია და პოლონური იცის, გაიგებს შენს წაკითხულს. წაიკითხე, ნუ გრცხვენია.

ცოტა პაუზის შემდეგ წაიკითხა შემდეგი ლექსი პოლონურად. (ვწერ თავისუფალ თარგმანს):

ბულბულო, თქვენთათ არ მოვდივარ საგალობელად;
არც შენთან, ვარდო, გზა-შარაზედ ალსაყვავებლად,
სად ვერ სწვდებიან უთვალავნი დაჩაგრულები—
მწარ ქარიშხალით ცხოვრებაზე მოგლეჯილები.
არც შენთან მწადის გავილვიძო, მზევ, სხივთ თამაშში;
არცა მიტაცებს ვარსკვლავების მკრალი კაშკაში...
მე მხოლოდ შენკენ მოვეშურვი, ადამიანო,
რომ მწარ ტირილში გაგამხნევო, თვალცრემლიანო!...

რა გრძნობით, რა სილამაზით იყო წაკითხული ეს ლექსი... რამდენად საამო იყო ეს შემთხვევა, იმდენად გულდამწყვეტი: მე ჯერ რუსეთში მცხოვრებ ქართველთა ოჯახში არსად არ მომისმენია ასეთი ქართული ლექსი, ქართველ მცირეწლოვან ქალის მიერ წაკითხული...

ბევრი ჩვენშიაც ვერ მოიწონებს თავს ამით... ჩვენშიაც ამასვე იტყვის,..

მერე, რატომ ჰხდება ეს!?... რატომ?...

ვინ იცის, რამდენ მწარე ფიქრ-მოგონებას ჰბადებს ჩემში პოლონელ ოჯახში გატარებული... საღამო!

მალაქია ბოდქვაძე.

სვანეთში ორის კვირით *).

XXIV.

მეორე დილით რომ ავდექით და გავიხედ-გამოვიხედეთ, დიადის ბუნების მრავალფეროვნებამ განვლილი მოგზაურობის ჭირნი ერთიანად გაგვიქარწყლა: აღმოსავლეთით მშვენიერი სერი დაშვებული, დასავლეთით უფრო მაღლობი საძოვრიანი მთა აწოლილა, ჩრდილოეთით ტყიანი უღელტეხილია კავკასიის უმთავრეს ქედისაკენ. სამხრეთით ვრცელ ფერდობზედ მოფენილია ეწერის საზოგადოების სოფლები, რომელთა დაბლა ღრმა ხევში მოღრიალებს აქაფებული ენგური. გაღმა კი ამართულა ტყიანი მთა, ალაგ-ალაგ ისევ თოვლ-აუღებელი. ჩვენს გარემო ვრცელი ეზო ახლად ამიბინებულიყო ხასხასის მწვანით. ეზოს საშუალ სდგას ჩვენის გულუხვის მასპინძლის ორ-სართულიანი სახლი—დაბლა ქვითკირისა, მაღლა ფიცრული, ყავრით გადახურული. აღმოსავლეთის მხრივ გადმოდგმული აქვს თითქმის ოცი ადლის სიგრძე და განიერი აივანი. სახლის გასწვრივ, სამხრეთ-აღმოსავლეთით, ასე ოც საჟენზედ უზარმაზარი იფნის ხეა ამართული, იფნის ძირზედ აყუდებულია ერთიანის ქვისაგან გამოქანდაკებული სახელოვანის ოთარ დადეშქელიანის სახე (XVII საუკ. დამდეგს). ამ იფნის ჩრდილში გატარებული დრო ყველას სახსოვრად დარჩება, ვისაც კი ფეხი დაუკარებია სვანეთის არე-მარეზე.

სახლს უკან გამოჩუხჩუხებს ანკარა, მთის საწისქვილო წყალი და სიგრილის სიოს ჰფენს მთელს ეზოს. ეზოს აღმოსავლეთით გზა ჩაუდის და გზას იქით ამართულია ძველი ციხე-დარბაზი დადეშქელიანებისა. დიდი მაღალი ციხე თითქოს დაღონებული დაჰყურებს ეწერის საზოგადოებას და წარსულ სისხლის წვიმების დროთა დაუნდობლობას არ ავიწყებს. ციხეს გარს ავლია ქვითკირის მაგარი გალავანი, ასე შვიდი ადლის სიმაღლე. საყურადღებოა, რომ ეწერის საზოგადოებაში ამის მეტი ციხე არ არის: დადეშქელიანებს ნება არ მიუციათ არავისთვის თავის საყმოში ციხის აგებისა.

აივანზე რომ გავიარ-გამოვიარეთ, მთელის სახლის კედელი სხვა და სხვა წარწერებით მოფენილი აღმოჩნდა: ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, შვეიცარიელი, რუსი, შინაურ-გარეული, ვინ გინდა, აქ არა ყოფილა და სახსოვრად ყველას თავისის ვინაობის წარწერით აღუნიშნავს სიამოვნების განტარებული დრო. მომაგონდა აფრიკის უდაბნოებში და შვეიცარიის მთებში დაღლილ მოგზაურთათვის სანეტარო განსასვენებელი სასტუმროები! რაც კი კაცის ხელთ საშუალებაა, არასა ჰზოგავს გულუხვი მასპინძელი მოკლე ზაფხულში ულეველ სტუმართა სასიამოვნოდ.

ჩვენ ორი დღე და სამი ღამე დავრჩით ბ-ნ თათარყანთან და ამ დროს ოთხიხუთი რიგობა მგზავრებისა წავიდ-მოვიდნენ: ზოგს ისტუმრებდნენ და თან ატანდნენ სანოვაგეს, ზოგს უმასპინძლდებოდნენ, ზოგს მოელოდნენ. ათი-თორმეტი მოსამსახურე მგზავრებს უნდებოდნენ, აქეთ-იქით ფუსფუსებდნენ და ბატონის ყველა ნაბრძანებს აკეთებდნენ.

ეწერის საზოგადოება ცამეტის პატარა სოფლისაგან შესდგება: ს. ბარი, სადაც სცხოვრობს ბ-ნ თათარყან დადეშქელიანი და ოცდა თხუთმეტამდე კომლი სვანი: ჭვერიში, ისქარი, ლალთუში, სუჲი, ფხოტრერი, ყურაში, უდვალი, ებადი, დადრელი, ვალაში, ნამხვრი და ლაშხრელი. ამ სოფლებში დღეს ასოცამდე კომლი სვანი სცხოვრობს, მაგრამ წარსულს „სისხლის წვიმების" დროს ერთი ოცად მეტი ხალხი ყოფილა საზოგადოდ სვანეთში და კერძოდ ეწერში. ამისი უტყუარი საბუთი ჩვენ ვიპოვეთ წ.-კითხ. საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერში (№ 3799), რომელიც შეადგენს სულმნათის ერეკლე მეფის ბრძანებით იოანე ბატონიშვილისაგან შედგენილს სამეფო დავთარს (ავტოგრაფი). აქ, სხვათა შორის, ვკითხულობთ: «ქ. ამავე რაჭას მთაშია ლეჩხუმის ხეობა, რომელიც თვის ეყვის დადიანს. აქ არის სადადიანო, სათავადო და საახნაურო და საეკლესიო სოფლები. ქ. ამა ლეჩხუმს მოებმის სვანეთის სამთავრო ხეობანი, რომელნიც არიან ესენი».

«ქ. ეწერის ხეობა თავისის სოფლებით. ესე თვის ეყვის დარიშკელიანს და ესე ადგილი უდიდეს არს სხვათა ზედა, რომელიც ითვლება კომლი კაცი 2652 [1]. ქ. მეორე ხეობა არის ბეჩო და ესე უფროსა დარიშკელიანის, სახლის კაცს და ამ ხეობას რაც სოფლები მიეწერება, არის კომლი 1571», თუ სახეში მივიღებთ უწინდელს დიდს ოჯახებს, როდესაც გაყრა ოჯახისა აკრძალული და სულშეხუთული (გასამყრელო) იყო და თითო ოჯახზედ თუ ათს სულს (მდედრმამრს) ვიანგარიშებთ, მაშინ დავინახავთ, რომ დღევანდელ საცოდავ ეწერსა და ბეჩოში მეფე ერეკლეს დროს ყოფილა 4223 კომლი და 42230 სული. 1886 წ. აღწერით კი დღეს დაახლოვებით მთელს სვანეთში მხოლოდ 1753 კომლი ითვლება, 7456 მამრი და 6579 მდედრი, ხოლო სრულიად 14035 სული [2].

მღვ. პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

«გრაჟდანინი» თეორეტიულს მსჯელობას გამოეკიდა და ისეთს აზრებს წარმოსთქვამს, რომელიც ჰმოწმობს, რომ ეს გაზეთიც სინათლის გზას დაადგა, სიბნელის მომხრეობა უკუ-აგდო.

მთავრობა ამა თუ იმ ქვეყნისა,—ამბობს გაზეთი განზოგადებით,—გამომთქმელია და გამომხატველი ყველა მისის სულიერისა და ნივთიერის მოთხოვნილებისა. ვინც ამ კანონს გვერდს აუხვევს, აუცილებელი უძლურება, გაკოტრება მოელის. მთავრობას შეუძლიან შეაჩეროს მომწიფება ქვეყნის მოთხოვნილებისა, მაგრამ ამ შეჩერებას თავისი საზღვარი აქვს, რომლის გადალახვაც შეუძლებელია.

ჩვენის აზრით, მართლიერებაზე დამყარებულ წეს-წყობილების გარეშე და თვინიერ მკვიდრთა ცოტაოდენის მონაწილეობისა ქვეყნის საქმეთა მართვაში, მოუხერხებელია მოქალაქობრივი ცხოვრება. რაიცა შეეხება მართლიერ წესიერების გვერდით წოდებრივისა და სხვა ძველებურ პრივილეგიების არსებობას, ჩვენის ფიქრით, ამ საგნების გადაწყვეტა გადაიდოს იმ დროსთვის, ვიდრე არ აღმოჩნდება, რომ ეგ წოდებრივობა და ძველი პრივილეგიები წინ ეღობება მოქალაქობრიობის წარმატებას. გვგონებთ, რომ თუ მართლა წინ გადაეღობა, მალე გზას დაუთმობენ სასურველს სტუმარს, ხოლო თუ არა,—გადალაჰხავენ და ის იქნება.

*
* *

იგივე გაზეთი სწერს, რომ კანონიერება ერთად-ერთი საფუძველია ყოველის კეთილად მოწყობილის სახელმწიფო ცხოვრებისაო.

კანონიერება გვაკლიაო,—ამბობს გაზეთი,—და ამან მიგვიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე. ნაკლებობა კანონიერებისა ჩვენი ორგანიული ავადმყოფობაა, თითქო დაბადებითვე თან დაგვდევსო, ვიბადებით მაგ ავადმყოფობით, ვსცოცხლობთ და ვიხოცებით; ვერც-კი შევამჩნევია, რომ კანონიერების სისუსტე და ნაკლებობა ფესვებს უღრღნის უკვე ჩვენის ცხოვრების უმთავრეს საფუძველსაო.

*
* *

დიდს თეორეტიულს მსჯელობაშია აგრეთვე გაზ. «პრავდა».

საზოგადოება თავის განვითარებაში, რაიცა იხატება ცნობიერების ზრდით, ემორჩილება განსაზღვრულს კანონებს და ამ კანონების უკუ-გდება არა ძალას არ შეუძლიან ქვეყნიერობაზედ. შეიძლება მხოლოდ დროებით შეაჩეროთ ეს ზრდა და ეგ არის. სწორედ რომ ვსთქვათ, ესეც არ შეიძლება, ეგ შეჩერება! არსებითად, შეჩერება-კი არა ჰხდება, რამედ სხვაფრივი განაწილება საზოგადოებრივ ძალთა, რომელნიც ზედა-პირიდან მხოლოდ ქვედა პირზედ, ძირს ექცევიან. რაკი დაბრკოლებასა ჰხვდებიან თავის გზაზედ, ჰშორდებიან მხოლოდ ოფიციალურს ასპარეზს, იმ სფერას, სადაც გაბატონებულია ესა თუ ის დაწესებულებანი, წეს-რიგნი, მათთვის არა ხელის შემწყობნი. ეს ძალნი, მაშასადამე, იკარგება იმ დროს სახელმწიფოსათვის და საზოგადოებრივ დაწესებულებისათვის და, რაკი განშორებულან, განზედ გამდგარან, მით ასუსტებენ მხოლოდ იმ დაწესებულებათა. გარნა ბუნებაში არა იკარგება-რა კვალ-წმინდად. უკუქცეულნი და საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობისაგან განდგომილნი, იგინი ეშვებიან ერის ცხოვრების სიღრმეში და იქ ვითარდებიან მით უფრო მეტის ძლიერებით, რაც უფრო დიდი იყო ტალღა უკუ-ქცევისა. ასე იცის მოკარდნილმა ნიაღვარმა. თუ დაბრკოლება დაუხვდა წინ, გადალეკავს ნაპირებს, დაიჭერს ზემო მიდამოს, ვიდრე არ გავა მინდვრად და არ გაიჩავარდებს თავისუფლად. თუ მწერლობა მოკლებულია თავისუფლებას და ვერა მსჯელობს საჭირ-ბოროტო, მწვავე საგნებზედ, იგი მიიბნიდება ზემოდ, მასუსტება მაღლა ფარდებში, მაგრამ სამაგიეროდ მით უფრო მეტის ძლიერებით იჩენს თავს სხვა გვარი მწერლობა. თუ განათლების მოთხოვნილებას არსებული სკოლები არ აკმაყოფილებს, სხვაფრივ ქმნის იგი დაკმაყოფილებას. თუ საზოგადოებრივს თვით-მოქმედებას ფართო გზა არა აქვს მიცემული თვით-მმართველობის ორგანოებით, იგი სხვა ფრივ ქმნის ამ გზას, სხვა ორგანიზაციას ეტანება. ასე იყო ყველგან და ყოველთვის. იცვლება დრონი, იცვლება გარემოებანი და მაშინ წამოეულეულავდებიან ხოლმე ძირიდან ის დაფარულნი ძალნი და ჰქმნიან ისტორიას.

„ივერიის ფოსტა"

პ.—ძს. მოგვიტევეთ ჩვენი საქციელი. აღმართის ხვნა ჩვენ არ ძალგვიძს.

ქ.—მაჟამ—ის. თქვენის თხზულების დაბეჭდვის თაობაზედ პირადად მოგელაპარაკებით.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

9 ნოემბერი.

პეტერბურგი. დეპეშა გენერალ-ლეიტენანტის სახაროვისა უმთავრეს შტაბში: 1) 8 ნოემბრით: «ღამე 8 ნოემბერს ბრძოლის შესახებ მოხსენებანი არ მოგვსვლია». 2) 9 ნოემბრით: «ღამე 9 ნოემბერს მოხსენებანი არ მოგვსვლია».

პეტერბურგი. დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე: «ჩვენმა რაზმმა მარცხენა ფრთისაკენ 7 ნოემბერს დაიჭირა სოფელი უიმზიუზი, 10 ვერსზე სამხრეთ-დასავლეთად დაპინდუშანიდან. იაპონელთ, რომელნიც ამ ადლას ერთობ ცოტანი იყვნენ, დაიწიეს ციანჩანუსაკენ. ზარალი ორთავე მხრივ დიდი არ არის. მანჯურიის ლაშქართა შებრძოლების შესახებ ფრონტზე 8 ნოემბერს მოხსენება არ მოგვსვლია. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას».

ჩიფუ, 7 ნოემბერი. (რეიტერი). საძნელო გახდა პორტ-არტურთან მისვლა-მოსვლა. ექვსი ცალი წერილი გაიგზავნა იქ სხვა და სხვა გზით და ერთმა ძლივს მიაღწია პორტ-არტურს. წერილი იყო გაგზავნილი ამერიკის ჟურნალისტისაგან წითელის ჯვრის რწმუნებულის ეგერმეისტერის ბალაშოვის სახელზე პორტ-არტურში. ნაღმოსანმა «რასტოროპნიმ» მოიტანა პასუხი ამ წერილისა. ბალაშოვი ამბობს, იაპონელები არად აგდებენ ჰააგის კონფერენციის დადგენილებასაო. იაპონელებმა იძულებულ ჰყვეს რუსები, თავი დაენებებინათ სამ წყალზე მავალ საავადმყოფოსათვის და დაჰრილნი მყუდრო ბინაზე მოათავსეს; საავადმყოფოები ისეთ ალაგას იდგნენ, რომ სრულიადაც არ უშლიდნენ იაპონელებს ყუმბარების სროლასა, როცა ისინი ჰაეროსტატით სინჯავდნენ მიზანში სასროლ ადგილებსა. ალყის დაწყების დროს რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ ზარბაზნებს ესროდნენ იმ ადგილებს, სადაც განსაკუთრებით საავადმყოფოები იდგა. ბალაშოვი ამბობს,—იმდენი დრო მაქვს, რაც ძლივსა

---

*) იხ. „ივერია" № 166.

[1] საქართველოში მცხოვრებთა აღწერა კომლეურათ იყო ხოლმე. სულთ აღრიცხვა სასტიკად იყო აკრძალული.

[2] იხ. Сводъ статист. данныхъ о насел. Закавк. края, 1886 г., изд. 1893 г.

მყოფნის პურის საჭმელად და ძილისათვის, იმიტომ ბევრი წერა არ შემიძლიან, თორემ ბევრს ბრალდებას მოვიყვანდი იაპონელთა წინააღმდეგ ომის უფლებათა დარღვევისას, განათლებულ ერთა შორის დამყარებულსაო.

პარიჟი. «ტანში» დაბეჭდილია მემორანდუმი, რომელიც საბერძნეთის ბატონიშვილს გიორგის გარდაუცია მინისტრ დელკასეს, ლანსდოუნისა და ტიტონისათვის. მემორანდუმში ბატონიშვილი ამბობს, კუნძულის ყველა ქრისტეანებმა დამავალეს შევევედრო დიდს სახელმწიფოებს, ნუღარ გადასდებენ კრიტის საბერძნეთთან შეერთების საქმესა. ბატონიშვილს ეს მიაჩნია ერთად-ერთ ღონედ, რომ აწ არსებული გაჭირვებანი იქმნას აცილებული.

მოსკოვი. «ნოვოსტი დნიამ» ეს არის ეხლა შემდეგი დეპეშა მიიღო შანჰაიდან თავის კორესპონდენტისაგან 8 ნოემბრის თარიღით: «აქ გავრცელდა ხმა, რომ ადმირალი ტოგო ჯავშნიან გემით «მიკაზათი» დაიღუპაო.»

10 ნოემბერი.

სუეცი, 9 ნოემბერი (რეიტერი). მოვიდა ინგლისის კრეისერი «ფოკსი» და, ვგონებთ, დარჩება აქ ბალტიის ესკადრის მოსვლამდე.

ფრიდირიხსგაფენი, 9 ნოემბერი. (რეიტერი) ნავთსადგურების მოხელეებმა ნება არ მისცეს, რომ რუსის კონტრ-ნაღმოსანმა «პროზორლივმა» დაზიანებული ადგილები შეიკეთოს. გემის ბოლოს კერძო საზოგადოების გემები ამოიღებენ. რუსის ესკადრა იდგება სკაგენთან კონტრ-ნაღმოსნის შეკეთებამდე.

ბერლინი. რუსეთი სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას სამშვიდობო კონფერენციაში, თუ მოლაპარაკებას ომის გათავებამდე გადასდებენ.

ვაშინგტონი. გერმანია-ამერიკის ხელშეკრულობას სამედიატორო სამართლის შესახებ ხელი მოაწერეს.— შვეციამ, ნორვენგიამ და მექსიკამ შეატყობინეს გეის, რომ ჰააგის მეორე კონფერენციაში მონაწილეობას მივიღებთო.

სტამბოლი. პორტა არ ამტკიცებს ამას წინად მოსულს რუსის და ავსტრიის აფიცრებსა.—იპეკში 60 აფიცერმა დაიჭირა ტელეგრაფის კანტორა და თხოულობდნენ, მოგვეცით ჯამაგირი, რომელიც ამ ექვს თვეში არ მოგიციათო. თუმცა აშვიდებენ, როგორც უმაღლესნი მოხელენი, ასე ილდიზი, მაგრამ ამაოდ.

ადენი. ოფიციალურად დამტკიცდა, რომ აქ შავი ჭირია. კარანტინი დააწესეს.

პეტერბურგი. უმაღლეს გვამთა თანადასწრებით გაშინჯეს ტყვიის მფრქვეველთა როტები, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთს მიდიან.

საღამოს დეპეშები.

10 ნოემბერი.

მუკდენი, 7 ნოემბერი, (რეიტერი). რა აზრი ჰქონდა პუტილოვის გორაზედ 5 ნოემბერს იაპონელთა თავდასხმას, კარგად არაა გამორკვეული. ის კი იციან, რომ ამ თავდასხმაში 3—4 ბატალიონამდე ჯარს მიუღია მონაწილეობა. ჰფიქრობენ, რომ თავდასხმა ადგილობრივ ჯარის ნაწილისა უფროსების თაოსნობით მოჰხდა, მთავარ-შტაბის უდასტუროდ. ყოველ შემთხვევაში, ეს ამბავი ყველაზედ უფრო საყურადღებოა შახესთან მომხდარ ბრძოლათა შორის. იაპონელთა წინ წაწევის ნიშანი შემჩნეული იყო გორაკებიდან და ეგონათ, ეს არის, ბრძანება მისცეს და იაპონელთა მთელი ლაშქარი დაიძრა საერთოდ შესატევადაო. მთელი რუსის ლაშქარი მყისვე მოემზადა და ტაქტიკური განკარგულებანიც მაშინვე მოახდინეს. პუტილოვის გორაკიდგან აღმოსავლეთით იაპონელნი მიუახლოვდნენ რუსის თხრილებს 50 იარდის მანძილზე, მაგრამ რუსების ცხარე სროლამ უკუ აქცია. მეორე დღეს 80-მდე იაპონელთა გვამი იპოვეს. 200 დეჭრილი თვით იაპონელებმა წაიყვანეს, რუსებს მხოლოდ ექვსი კაცი დააკლდათ.

მუკდენი, 9 ნოემბერი. (რეიტერი). ორთავე ლაშქარს იმდენად გამაგრებული პოზიციები უჭირავთ, რომ ვერც ერთი მხარე ვერა ჰბედავს სატევი მოქმედება დაიწყოს, თუ ერთ-ერთ მათგანს გაცილებით მეტი ჯარი არ ეყოლა. რომ შესძლოს გვერდიდგან მოვლა. ორთავე ლაშქარს თანასწორი მაშველი ჯარები მოუვიდათ.

ჩიფუ. (რეიტერი). რუსეთისა და იაპონიის მთავრობის ერთმანეთთან, შეთანხმებით „რასტოროპნის“ ეკიპაჟს ჩინეთის კრეისერ «ხეუნგით» შანჰაის გაჰგზავნიან.

შანჰაი. (რეიტერი). ირწმუნებიან, რომ პორტ-არტურში იმყოფება ხუთი ჯავშნიანი გემი, ორი კრეისერი, სამი კანონერკა და 11 კონტრ ნაღმოსანიო. «ბაიანი» და კონტრ-ნაღმოსნები გავიდნენ ნავთსადგურიდგან და «ოქროს მთის» ბატარეიას ამოეფარნენ.

ტოკიო. (რეიტერი). დილიდგან 5 ნოემბერს წამოსული იაპონელი აფიცერი ამბობს,—პორტ-არტურის ახალ ნაწილში ამ დღეებში ბევრჯერ გაჩნდა ცეცხლიო. ეს ნაწილი მცხოვრებლებმა სულ მიატოვეს.

ვეი-ჰაი-ვეი, 9 ნოემბერი, (რეიტერი). აქედან 6 მილის მანძილზედ ნაპირად გადმოვიდა რუსის აფიცერი, რომელიც პორტ-არტურიდგან გამოპარულა 3 ნოემბერს ხალხის გადამრჩენ ნავით. ძლიერის ღელვის დროს. ნავიცა და აფიცერიც გააჩერეს აქ.

პეტერბურგი. სახაროვი აცნობებს მთავარ შტაბს 9 ნოემბრის თარიღით: «7 ნოემბერს, დილით ჩვენმა თავგამოდებულებმა (ახოტნიკი) დაიჭირეს შინხაილინის უღელტეხილის გორაკის ორივე მხარე. სოფ. ტუნგოუს სამხრეთით 9 თავგამოდებულთაგანნი შეუჩნევლად მივიდნენ მტრის მავთულ-ჩახერგილ სიმაგრეებთან, სადაც ააფეთქეს რამდენიმე ჩინური ქოხები და დაიწყეს სროლა. იაპონელები გამოცვივდნენ გარედ, იმ ადგილების დასათვალიერებლად, რომელიც ააფეთქეს, მაგრამ ჩვენებმა სროლა დაუწყეს და ზარალით გააქციეს. თავგამოდებულებმა წამოიღეს იარაღები და ტყვია-წამალი. 8 ნოემბერს ჩვენი ჯარის ნაწილზედ, რომელნიც 7 ნოემბერს მტერს უიძიუიძში შეებრძოლნენ, იაპონელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ უკუ ქცეულ იქმნენ დიდის ზარალით. ჩვენ დაგვიჭრეს 1 აფიცერი და 30 ჯარის კაცი მოგვიკლეს 10 ჯარის კაცი. დღეს მტერი სოფ. სახეპუს ესროდა ციხის სანგრევ ზარბაზნებს». სახაროვი აცნობებს მთავარ შტაბს 10 ნოემბერს თარიღით,—9 ნოემბერს ბრძოლის თაობაზედ მოხსენებანი არ მოგვსვლიაო.

დროებით რედაქტორი **ზრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

9 ნოემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,35
ბერლინში ,,	47,30
პარიჟში ,,	$37,52^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$6—7^1/_2\%$
4% სახელმწიფო რენტა	92 ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	$89^3/_8$ მსყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	$419^3/_4$ ნ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	310 წ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	271 ნ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
$4^1/_2\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა.	$9^3/_4$ წ. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	$87^3/_8$ წ. გაყ.

ს ი ა

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

ალადაშვილი, ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ. —9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

გედალინი, ალექსანდრე გიორგის ძე, 10 საათ.—$11^1/_2$ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

გეცელი, ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

ჯანიბეგოვი, ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

ელჩიევი, მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

ზაბლუდოვსკი, იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—$11^1/_2$ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

კასუმოვი, ნიკოლოოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—$11^1/_2$ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

მირზაევი, მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.— 9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

საათსაზოვი, ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

თათევოსიანი, ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 86 ს.— საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

ხატისოვი, ნიკოლოოზ დავითისძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს. —6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

შახ-აზიზოვი, არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი $7^1/_2—8^1/_2$ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

შჩერბინინა, ანნა ივანეს ასული. დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 5—6 ს. სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.

განცხადებანი

იბეჭდება და ნოემბერში გამოვა

ახალი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

მოზრდილ და მცირე-წლოვან ყრმათათვის, თვეში სამი წიგნი—ორი მცირე წლოვანთათვის და ერთიც მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. წელიწადი—1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: მთელის წლით ერთად ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ-ცალკე—3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა.

გამომცემელი ჟურნალისა
კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.
რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.
ადრესი: Тифлисъ, Редакція «НАКАДУЛИ»

ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

ილია ჭავჭავაძის ლექსები.	15 კაპ.
რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა	20 ,,
რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა	10 ,,
სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა	10 ,,
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი	7 ,,

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

კალენდარი (სათვეო)

„ცოდნა“

მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.

კალენდარი ჰღირს ორ შაურად

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა

ექვს-ექვს კაპეიკად.

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ Книжный магазинъ „ЦОДНА“.

(10—6).

ახალი გამოცემანი

1) **იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა ი. გოგებაშვილისა, მეოთხე გამოცემა, მეთორმეტე ათასი, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად. ვინც ოცობით—სამ კაპეიკად.

2) **ბურჯი ეროვნებისა,** მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—15 კაპეიკად.

3) **Къ вопросу о мингрельской школѣ,** მისივე, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

4) **Правда о Тифлисѣ,** მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

5) **Какъ поднять Кавказкую народн. школу,** მისივე, ფასი ექვსი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 24 კაპეიკად, ვინც ოცობით—22 კაპეიკად. (5—5).

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ანა მერკვილაძისა.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—24)

Дозволено цензурою Тифлисъ, 10 ноября, 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи